



არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველისადმი მიმართვის დასაშვებობის საფუძვლები და სახელმძღვანელო პრინციპები

არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველს გააჩნია მნიშვნელოვანი კონსტიტუციური კომპეტენცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმები და მათ საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო, ორგანული კანონით დადგენილი წესით, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას.

როგორც კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებიდან ირკვევა არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავის ინიცირების უფლებამოსილ სუბიექტებს წარმოადგენენ მხოლოდ (1) საქართველოს პრეზიდენტი, (2) საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი და (3) საქართველოს სახალხო დამცველი.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი პირს აქვს უფლება მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

საჭიროდ მიგვაჩნია განვსაზღვროთ ის *კრიტერიუმები*, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახალხო დამცველისადმი წარდგენილ განცხადებაში მითითებული პრობლემა იმისთვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას ჰქონდეს რეალური პერსპექტივა. ამ თვალსაზრისით კი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მოკლედ განვმარტოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საარჩევნო დავის განმხილველი კომპეტენცია.

ა) ჩასატარებელი არჩევნები/რეფერენდუმი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩასატარებელი არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი



არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: ა) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან; ბ) დანიშნული არჩევნების/რეფერენდუმის გაუქმებას, თუ არჩევნების/რეფერენდუმის დანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს; გ) არჩევნების/რეფერენდუმის დანიშვნის ვალდებულების დაკისრებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) არდანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს.

ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. იგივეა მითითებული, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 108-ე მუხლის პირველ ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კოდექსი გაითვალისწინებს პარლამენტის მორიგი არჩევნების ჩატარების კონსტიტუციისაგან განსხვავებულ თარიღს, ეს შესაძლებელია გახდეს საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებისა და არჩევნების თარიღის კონსტიტუციის შესაბამისად დანიშვნის დავალდებულების, ან არაკონსტიტუციურად დანიშნული არჩევნების გაუქმების მოთხოვნის საფუძველი.

ბ) ჩატარებული არჩევნები/რეფერენდუმი

უკვე ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება კი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად, იწვევს: ა) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას; ბ) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი.

ამდენად, ჩატარებული არჩევნების/რეფერენდუმის შედეგები ბათილად შეიძლება ცნოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების/რეფერენდუმის შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა განსხვავებული შედეგი (შესაბამისი საარჩევნო უბნის, ოლქის ან მთლიანად არჩევნების თვალსაზრისით). ამგვარად, ჩატარებული არჩევნების



არაკონსტიტუციურად ცნობისთვის საკმარისი არ არის, მხოლოდ ის, რომ არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ესა თუ ის ნორმა არღვევდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს, ამასთან ერთად, აღნიშნულმა დარღვევამ არსებითი, გადამწყვეტი ზეგავლენა უნდა იქონიოს არჩევნების/რეფერენდუმის საბოლოო შედეგზე.

გ) პროცედურა

აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი და არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი ერთობლივად უნდა განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ. თუ არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმები შეესაბამება კონსტიტუციას, მაგრამ არჩევნები ან რეფერენდუმი ჩატარდა ამ ნორმებისა და შესაბამისად, კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით, მაშინ არჩევნების/რეფერენდუმის კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი არ არის.¹

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საარჩევნო დავის დროს, არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება, მათ შორის, სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე, არ არის შეზღუდული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, „...არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე დავის განხილვის კომპეტენცია არ ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს, იმსჯელოს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე, რომლის საფუძველზეც არჩევნები ჩატარდა მხოლოდ კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის №16/455 განჩინება, II. პ. 4).

ამდენად, არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობაზე მსჯელობა შესაძლებელია გასცდეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (მაგალითად, იგივე მე-11 მუხლს (თანასწორობის უფლება), 24-ე მუხლს (საარჩევნო უფლება) და სხვა) და მათი შეფასება მოხდეს, მაგალითად, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან ან სხვა ნორმებთან მიმართებით.

არჩევნების კონსტიტუციურობის გასაჩივრებასთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, სპეციალური ვადები, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. კერძოდ,

¹ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ... „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას. ეს გულისხმობს, რომ მოსარჩელემ ყურადღება უნდა გაამახვილოს, უპირველესად, კონკრეტული ნორმების არაკონსტიტუციურობაზე, ამავდროულად, ამტკიცოს, რომ ამ ნორმების საფუძველზე გამართული არჩევნები არაკონსტიტუციურია...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის №16/455 განჩინება, II. პ. 3).



„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანება შესაბამისი საარჩევნო კომისიის (საუბნო, საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის) მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში, თუ კონსტიტუციური სარჩელი შეეხება ჩატარებული არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობას. რეფერენდუმთან მიმართებით დადგენილია 7 დღიანი მიმართვის ვადა რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებიდან.

ზემოაღნიშნული ვადის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ წარდგენილი განცხადება იყოს დასაბუთებული. კერძოდ, წარმოდგენილი იყოს შესაბამისი არგუმენტები, რომლებიც, ერთი მხრივ, ასაბუთებს არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურობას, ხოლო მეორე მხრივ, ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულმა არაკონსტიტუციურმა ნორმამ განაპირობა არჩევნების არაკონსტიტუციური შედეგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ განცხადების დასაშვებობის შემდეგი კრიტერიუმები:

- *განცხადებაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი სადავო ნორმატიული აქტი*
- *იდენტიფიცირებული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის ის ნორმა/ნორმები, რომლებსაც არ შეესაბამება გასაჩივრებული არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი*
- *განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს. კერძოდ, მასში მოყვანილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების/რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას*
- *განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ის, რომ გასაჩივრებულმა ნორმატიულმა აქტმა ზეგავლენა იქონია კონკრეტული არჩევნების/რეფერენდუმის შედეგზე. ანუ, რომ არა სადავო ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობა, არჩევნებზე (უბანში, ოლქში ანდა მთლიანი არჩევნების) ან რეფერენდუმზე დადგებოდა განსხვავებული შედეგი*
- *განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს, შესაბამისი (უბნის, ოლქის ან მთლიანი არჩევნების) არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მაქსიმუმ 24 საათში, რეფერენდუმის შემთხვევაში, მაქსიმუმ 36 საათში.*